შპს ლილეო

სამშენებლო და საექსპერტო კვლევითი სამუშაოების ჯგუფი





სამუშაო გამოცდილება

ექსპერტიზის ჩატარება დაევალა ექსპერტს - **ალექსანდრე ყურაშვილს,** რომელსაც აქვს:

-უმაღლესი ტექნიკური განათლება კვალიფიკაციით - სამოქალაქო სამრეწველო მშენებლობა, ხარისხი - მაგისტრი
- ამ დარგში მუშაობის გამოცდილება - 10 წელი.
-2007-2010 წ. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამხასური (ავლაბრის ადმინისტრაციული კომპექსის მშენებლობა) თანამდებობა: ქონების განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი
-2010-2016 წ. შპს „ლილეო"- საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაცია, სპეციალობა: ინჟინერ-ექსპერტი

ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება

2. რკინა-ბეტონისა და ლითონ კონსტრუქციების გამოყენების პირობეი და მახასიათებლები

3. შენობა-ნაგებობებზე ნორმების მიხედვით მდგომარეობის დამდგენი მექნიზმები

4. შენობა-ნაგებობებზე ექსპერტიზის წარმოების წესები და მეთოდები



საექსპერტო კვლევა მდგრადობასა და საიმედოობაზე

ქ.თბილისი, გამზირი ი. ჭავჭავაძე №49ბ, საკადასტრო კოდით №01.18.04.012.017 მოქალაქე ეკატერინე პაპაშვილის საკუთრებაში არსებულ ბინის ფართში აივანზე განხორციელებული კედლისა და მოაჯირის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობისა და საიმედოობის საექსპერტო დასკვნა



თბილისი

25/10/2017 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, გამზირი ი. ჭავჭავაძე №49ბ, სადადაც მოქალაქე ეკატერინე პაპაშვილის მინდობილი პირის თამილა კოჭლამაზაშვილის თხოვნის საფუძველზე შევისწავლეთ ბინა №49ბ-ს ფართზე აივნის ტერასაზე არსებული მზიდი კონსტრუქციები და მისი მდგომარეობა. კვლევის მიზანს წარმოდგენს განვსაზღვროთ არსებული კონსტრუქციული ელემენტების მზიდუნარიანობა და მდგრადობის პირობა.

არსებული შენობის შესწვალის საფუძველზე კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. კორპუსის საძირკველი განხორციელებულია რკინა-ბეტონის ხიმინჯებზე;
2. შენობის კონსტრუქციული სქემა მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული ტიპისაა;
3. სართულშუა გადახურვები და ყველა ძირითადი გადახურვები მოწყობილია ორმაგად არმირებული მონოლითური ფილებით

აღნიშნულ ბინას გააჩნია აივანი, რომელიც კონსოლური ტიპისაა და არის ერთიანი მონოლითური ფილის შემადგენელი ნაწილი, ანუ სამუშაოების წარმოების პროცესში განხორციელებულ იქნა ერთიანობაში. არსებულ აივანზე მოწყობილია სტანდარტული სამშენებლო წვრილმარცვლოვანი გაზობეტონის ბლოკებით გამყოფი კედლები არსებულ ფართებს შორის და ერთი აივნის მოაჯირი, რომელიც ანალოგიურად ბლოკით არის აშენებული. კონსტრუქციული მდგომარეობის და მოთხოვნების შესაბამისად არსებული კედლები სკმარისად მდგრადია იმ თვალსზრისით რა დატვირთვაც გააჩნია, ვინაიდან წარმოდგენილი მდგომარეობით აღნიშნული კედლები მუშაობს მხოლოდ საკუთარ წონით მოსულ დატვირთვაზე და სიმტკიცის კოეფიციენტის მიხედვით გამოირიცხება მისი ჩამოშლა და დამაზიანებელი გარემობებების შექმნა. კვლევის შედეგად წარმოდგენილი კედლების კონსტრუქციული მდგრადობა არის დამაკმაყოფილებელი და გამოირიცხება მისი ჩამოშლის საფრთხე.



დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად ქ.თბილისი, გამზირი ი. ჭავჭავაძე №49ბ, სართული II, მოქალაქე ეკატერინე პაპაშვილის კუთვნილი ფართი ზემოთ ხსენებულ აივანზე ჩატარებულ სამუშაოებთან მიმართებაში აკმაყოფილებს მზიდუნარიანობის მიხედვით მდგრადობის პირობას, რის საფუძველზეც აღნიშნული ფართი თავისი კონსტრუქციული მონაცემების მიხედვით არის მდგრადი და საიმედო.

დირექტორი: **ა. ყურაშვილი**

კონსტრუქტორ-ექსპერტი: